

1. გასაწევი სადაზღვევო მომსახურების პაკეტი და შესყიდვის სავარაუდო ღირებულება

1.1. სამედიცინო (ჯანმრთელობის) და სიცოცხლის სადაზღვევო მომსახურება ხორციელდება ძირითადი პაკეტის შესაბამისად:

„I. ჯანმრთელობის დაზღვევის სტანდარტული პაკეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის“ (დანართი #1), რომლის ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

1.2. აგრეთვე, 4 დამატებითი პაკეტის შესაბამისად:

„II. ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესებული პაკეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის“ (დანართი #2), რომლის ღირებულების ანაზღაურებას ერთობლივად უზრუნველყოფენ შემსყიდველი და დაზღვეული თანამშრომელი საკუთარი ხარჯებით;

„III. ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის სრულწლოვანი შვილებისათვის (პაკეტი მოიცავს ყველა სრულწლოვან შვილს მიუხედავად მათი რაოდენობისა)“ (დანართი #3), რომლის ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს დაზღვეული თანამშრომელი საკუთარი ხარჯებით;

„IV. ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მშობლისათვის“ (დანართი #4) რომლის ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს დაზღვეული თანამშრომელი საკუთარი ხარჯებით.

„V. ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესებული - პრემიუმ პაკეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რგოლის მენეჯერებისთვის და მათი ოჯახის წევრებისათვის“ (დანართი #5), რომლის ღირებულების ანაზღაურებას ერთობლივად უზრუნველყოფენ შემსყიდველი და დაზღვეული თანამშრომელი საკუთარი ხარჯებით;

- პრეტენდენტი ერთიან ელექტრონულ სისტემის მეშვეობით ვაჭრობს და აფიქსირებს ჯანმრთელობის დაზღვევის სტანდარტული პაკეტის ღირებულებას.
- ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, თითოეული დამატებითი პაკეტების ღირებულება უნდა შემცირდეს ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად შემცირებული პროცენტის ოდენობით.

შენიშვნა:

- დაზღვეული თანამშრომლისათვის დამატებითი პაკეტებით სარგებლობა ნებაყოფლობითია, სატენდერო პირობებით და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად. დამატებითი პაკეტის მოთხოვნის უფლება არსებულ თანამშრომელს შეუძლია სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო სადაზღვევო ხელშეკრულების შემდეგ დანიშნულ თანამშრომელს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან/შს სამინისტროს სისტემაში დანიშნვიდან ერთი თვის განმავლობაში.
- სადაზღვევო სიაში ოჯახის წევრის დამატება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, მიუხედავად იმისა გადაგზავნილი იყო თუ არა მონაცემები პირველად სიებთან ერთად. აღნიშნული პირობა ვრცელდება როგორც არსებული ოჯახის წევრზე, ასევე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემენილ ოჯახის წევრზე (მეუღლე, გერი და ა.შ.). მოცემულ შემთხვევაში სადაზღვევო მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს მოთხოვნისა და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენისთანავე.

- როგორც სტანდარტული, ასევე დამატებითი პაკეტების შემთხვევაში, მზღვეველმა სადაზღვევო მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს მოთხოვნისა და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენისთანავე.
- დაზღვეული პირებისათვის პოლისების (პლასტიკური ბარათების) დამზადება და მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ დასაზღვევი პირების სიების მიწოდებიდან არაუგვიანეს 45 სამუშაო დღის განმავლობაში.
- მზღვეველმა სადაზღვევო მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს მიხედვად იმისა, გააჩნია თუ არა დაზღვეულს პოლისი.

2. პროვაიდერი კლინიკები:

2.1. მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქების მიხედვით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არსებული პროვაიდერი კლინიკების (გარდა სტომატოლოგიური პროფილის კლინიკების) ჩამონათვალი მოცემულია დანართი N6-ში, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა იყოს მუნიციპალიტეტის რაიონულ ცენტრში/ადმინისტრაციულ ცენტრში.

2.2. ქალაქ თბილისში, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 61 პროვაიდერი კლინიკა. მათ შორის:

2.2.1. არანაკლებ 12 მრავალპროფილური პროვაიდერი კლინიკა, მათ შორის არანაკლებ 8 კლინიკა რეანიმაცია ინტენსიური თერაპიით;

შენიშვნა: მრავალპროფილურ კლინიკას მიეკუთვნება სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც შესაძლებელი იქნება, როგორც ამბულატორული ასევე სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღება.

2.2.2. არანაკლებ 54 ამულატორული კლინიკა:

2.2.2.1. მათ შორის 7 პედიატრიული ამბულატორიული კლინიკა;

2.2.3. არანაკლებ 33 კონკრეტული პროფილის კლინიკა; მათ შორის:

2.2.3.1. არანაკლებ 5 ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა;

2.2.3.2. არანაკლებ 3 ოფთალმოლოგიური კლინიკა.

2.2.3.3. არანაკლებ 4 სამშობიარო პროვაიდერი კლინიკა;

2.2.3.4. არანაკლებ 5 პროვაიდერი სტაციონალური პედიატრიული კლინიკა.

2.2.3.5. არანაკლებ 5 პროვაიდერი კარდიოლოგიური კლინიკა რომელიც მოიცავს თერაპიულ კარდიოლოგიას, კარდიოქირურგიას, ინტერვენციულ კარდიოლოგიას და ლაბორატორიულ ინსტრუმენტალურ კვლევებს. მათ შორის არანაკლებ 1 კლინიკა ასევე უნდა მოიცავს მაღალტექნოლოგიურ კვლევებს (მათ შორის მრტ-ს და კტ-ს).

2.2.3.6. არანაკლებ 9 უროლოგიურ-ნეფროლოგიური კლინიკა.

2.2.3.7. არანაკლებ 1 პროვაიდერი კლინიკა, სადაც შესაძლებელი იქნება სხივური თერაპიის ჩატარება და მკურნალობა რადიოაქტიური იოდით.

2.2.3.8. სსიპ საქართველოს შს სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური (მათ შორის გეგმიური და გადაუდებელი სტომატოლოგიის მიმართულები).

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ამბულატორიული პროვაიდერი კლინიკა არ იქნება გათვალისწინებული მრავალპროფილური პროვაიდერი კლინიკების რაოდენობაში. (ანუ ერთი და იგივე კლინიკა არ იქნება გათვალისწინებული ორივე ტიპის კლინიკაში და სატენდერო წინადადების წარმოდგენიასას, მიმწოდებელმა თვითონ უნდა განსაზღვროს თუ რომელი ტიპის კლინიკას მიაკუთვნებს მის მიერ შემოთავაზებულ

პროვაიდერს, მრავალპროფილურ კლინიკას თუ ამბულატორიულ კლინიკას. დასაშვებია, პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული კონკრეტული პროფილის კლინიკა დუბლირებული იყოს ან მრავალპროფილურ ან ამბულატორიულ კლინიკაში.

2.3. ქალაქ **ბათუმში**, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ **5** პროვაიდერი კლინიკა. მათ შორის:

- 2.3.1. არანაკლებ 2 მრავალპროფილური პროვაიდერი კლინიკა რეანიმაცია ინტენსიური თერაპიით;
- 2.3.2. არანაკლებ 2 სამშობიარო პროვაიდერი კლინიკა;
- 2.3.3. არანაკლებ 2 პედიატრიული პროვაიდერი კლინიკა;
- 2.3.4. არანაკლებ 1 ონკოლოგიური პროფილის პროვაიდერი კლინიკა;
- 2.3.5. „საზღვაო“ და „სამეზღვაურო ცენტრები“, ან წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კლინიკებში მომსახურების მიღება უნდა განხორციელდეს პროვაიდერის პრიობებით (მათ შორის თანადაფინანსების %) საგარანტიო ფურცლის გაცემის გზით, თუ კლინიკა თანახმაა მიიღოს ის.

2.4. ქალაქ **გორში**, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ **3** პროვაიდერი კლინიკა. მათ შორის:

- 2.4.1. არანაკლებ **2** მრავალპროფილური პროვაიდერი კლინიკა რეანიმაცია ინტენსიური თერაპიით.
- 2.4.2. არანაკლებ 1 სამშობიარო პროვაიდერი კლინიკა;
- 2.4.3. არანაკლებ 1 პედიატრიული პროვაიდერი კლინიკა;
- 2.4.4. არანაკლებ 1 ამბულატორიული პროვაიდერი კლინიკა;

2.5. ქალაქ **ზუგდიდში**, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ **3** პროვაიდერი კლინიკა. მათ შორის:

- 2.5.1. არანაკლებ 1 მრავალპროფილური პროვაიდერი კლინიკა რეანიმაცია ინტენსიური თერაპიით.
- 2.5.2. არანაკლებ 2 ამბულატორიული პროვაიდერი კლინიკა;
- 2.5.3. არანაკლებ 1 სამშობიარო პროვაიდერი კლინიკა;

2.6. ქალაქ **თელავში**, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ **3** პროვაიდერი კლინიკა. მათ შორის:

- 2.6.1. არანაკლებ 1 მრავალპროფილური პროვაიდერი კლინიკა რეანიმაცია ინტენსიური თერაპიით;
- 2.6.2. არანაკლებ 1 სამშობიარო პროვაიდერი კლინიკა;
- 2.6.3. არანაკლებ 1 ამბულატორიული პროვაიდერი კლინიკა;

2.7. ქალაქ **მცხეთაში**, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ **2** პროვაიდერი კლინიკა. მათ შორის:

- 2.7.1. არანაკლებ 1 მრავალპროფილური პროვაიდერი კლინიკა რეანიმაცია ინტენსიური თერაპიით.
- 2.7.2. არანაკლებ 1 ონკოლოგიური პროფილის პროვაიდერი კლინიკა;

2.8. ქალაქ **ოზურგეთში**, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ **2** პროვაიდერი კლინიკა. მათ შორის:

- 2.8.1. არანაკლებ **1** მრავალპროფილური პროვაიდერი კლინიკა რეანიმაცია ინტენსიური თერაპიით.
- 2.8.2. არანაკლებ **1** ამბულატორიული პროვაიდერი კლინიკა:
- 2.8.3. არანაკლებ **1** სამშობიარო პროვაიდერი კლინიკა:

2.9. ქალაქ **რუსთავში**, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ **3** პროვაიდერი კლინიკა. მათ შორის:

- 2.9.1. არანაკლებ **1** მრავალპროფილური პროვაიდერი კლინიკა რეანიმაცია ინტენსიური თერაპიით.
- 2.9.2. არანაკლებ **1** სამშობიარო პროვაიდერი კლინიკა:

2.10. ქალაქ **ფოთში**, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ **2** პროვაიდერი კლინიკა. მათ შორის:

- 2.10.1. არანაკლებ **1** მრავალპროფილური პროვაიდერი კლინიკა რეანიმაცია ინტენსიური თერაპიით.
- 2.10.2. არანაკლებ **2** ამბულატორიული პროვაიდერი კლინიკა:
- 2.10.3. არანაკლებ **1** სამშობიარო პროვაიდერი კლინიკა:

2.11. ქალაქ **ქუთაისში**, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ **6** პროვაიდერი კლინიკა. მათ შორის:

- 2.11.1. არანაკლებ **2** მრავალპროფილური პროვაიდერი კლინიკა რეანიმაცია ინტენსიური თერაპიით.
- 2.11.2. არანაკლებ **1** სამშობიარო პროვაიდერი კლინიკა:
- 2.11.3. არანაკლებ **1** ონკოლოგიური პროფილის პროვაიდერი კლინიკა:
- 2.11.4. არანაკლებ **1** პედიატრიული პროვაიდერი კლინიკა:
- 2.11.5. არანაკლებ **3** ამბულატორიული პროვაიდერი კლინიკა:

შენიშვნა: ზემოაღნიშნულ თვითმმართველ ქალაქებში დასაშვებია, პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი პროფილის კლინიკა დუბლირებული იყოს ან მრავალპროფილურ ან ამბულატორიულ კლინიკაში (მაგალითად: ერთი და იგივე პროვაიდერი კლინიკა შეიძლება გაყვანილი იქნას როგორც მრავალპროფილურ, ასევე ამბულატორიულ და სამშობიარო კლინიკაში)

2.12. იმ კლინიკებში რომელთაც საქართველოში ალტერნატივა არ გააჩნია, სადაზღვევო შემთხვევისას მომსახურების მიღება უნდა განხორციელდეს პროვაიდერის პირობებით (მათ შორის თანადაფინანსების %) საგარანტიო ფურცლის გაცემის გზით, თუ კლინიკა თანახმაა მიიღოს ის.

2.13. მზღვეველი ვალდებულია იმ არაპროვაიდერ კლინიკებში, საიდანაც სამედიცინო ჩვენების მიხედვით შეუძლებელი იქნება დაზღვეულის ტრანსპორტირება ან/და ყველა ის შემთხვევა, როცა რომელიმე ნოზოლოგიის მკურნალობა არ ხდება პროვაიდერ კლინიკებში, მომსახურების მიღება უნდა განხორციელდეს პროვაიდერის პირობებით (მათ შორის

თანადაფინანსების %) საგარანტიო ფურცლის გაცემის გზით, თუ კლინიკა თანახმაა მიიღოს ის.

2.14. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო პროცედურების დროს კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში და თვითმმართველ ქალაქებში (გარდა თბილისისა) არ იქნება პედიატრიული ასაკის ან/და მრავალპროფილური კლინიკა და გაიხსნება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მზღვეველი ვალდებულია უზრუნველყოს მისი დაპროვაიდერება, ან მომსახურების მიღება პროვაიდერის პირობებით (მათ შორის თანადაფინანსების %) საგარანტიო ფურცლის გაცემის გზით, თუ კლინიკა თანახმაა მიიღოს ის.

2.15. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულს მომსახურების მიღება სურს არაპროვაიდერ კლინიკაში და ნაწილობრივ დაფინანსება/თანაგადახდას უზრუნველყოს სსიპ საქართველოს შს სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური, მზღვეველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების მიღება საგარანტიო ფურცლის გაცემის გზით, თუ კლინიკა თანახმაა მიიღოს ის.

2.16. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ პროვაიდერ კლინიკაში დაზღვეულს საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს ამ კლინიკაში არსებული ნებისმიერი (სრული) პროფილის მომსახურება (მათ შორის კლინიკის გადაწყვეტილებით და სამედიცინო ჩვენების გათვალისწინებით საჭირო ნებისმიერი სამედიცინო დახმარება) წინამდებარე ტენდერით განსაზღვრული პროვაიდერის პირობებითა (მათ შორის თანადაფინანსების %).

2.17. დაზღვეულს უფლება აქვს მოითხოვოს ოჯახის ექიმისგან / პირადი ექიმისგან მისთვის სასურველ ნებისმიერ პროვაიდერ კლინიკაში (მათ შორის ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური კვლევების დროს) მიმართვის გამოწერა თუ მსგავსი პროფილის მომსახურებას ეწევა მის მიერ არჩეული კლინიკა.

2.18. იმ შემთხვევაში, თუ კლინიკას გააჩნია ფილიალი, პროვაიდერი კლინიკების რაოდენობის დათვლისას შემსყიდველი იხელმძღვანელებს მისამართების მიხედვით (მაგალითად: თუ კლინიკას აქვს ორი ფილიალი ვაკეში და საბურთალოზე აღნიშნული ჩაითვლება ორ პროვაიდერად და არა ერთ პროვაიდერად).

შენიშვნა: ტექნიკური დავალების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ რომელიმე ქალაქში ან მუნიციპალიტეტში (მათ შორის დანართი N6-ში მითითებულ ქალაქში ან მუნიციპალიტეტში) თუ არ არსებობს მოთხოვნილი პროფილის სამედიცინო დაწესებულება, ან შეუწყდება/შეუჩერდება ლიცენზია, შესაძლებელია მისი ჩანაცვლება მოხდეს უახლოეს ქალაქში ან მუნიციპალიტეტში არსებული ანალოგიური პროფილის სამედიცინო დაწესებულებით. ამასთან, თუ მოცემულ მუნიციპალიტეტში გაიხსნება კლინიკა ან აღუდგება ლიცენზია, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მისი დაპროვაიდერება.

შენიშვნა: წინამდებარე ტენდერის მიზნებისთვის, დასაშვებია პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული იქნას პროვაიდერი კლინიკა, რომელიც წარმოადგენს COVID-19-ის ცხელების ცენტრს, ასევე დასაშვებია, რომელიმე პროვაიდერი კლინიკა სატენდერო პროცედურების დროს გადაკეთდეს COVID-19-ის ცხელების ცენტრად, აღნიშნული არ გახდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველი. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროვაიდერი კლინიკები 2021 წლის 01 იანვრისთვის კვლავ იქნებიან COVID-19-ის ცხელების ცენტრები შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განახორციელებენ შესაბამის ცვლილებას

(სამართლიანობის პრინციპის დაცვით), იმდაგვარად, რომ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში დაზღვეულმა პირებმა შეუფერხებლად მიიღონ წინამდებარე ტენდერით განსაზღვრული მომსახურება, ტენდერით განსაზღვრულ თვითმმართველ ქალაქებში და მუნიციპალიტეტებში.

შენიშვნა: თუ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და მისი მოქმედების მთელ პერიოდში, რომელიმე პროვაიდერი კლინიკა გადაკეთდება COVID-19-ის ცხელების ცენტრად, შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განხორციელებენ შესაბამის ცვლილებას (სამართლიანობის პრინციპის დაცვით), იმდაგვარად, რომ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში დაზღვეულმა პირებმა შეუფერხებლად მიიღონ წინამდებარე ტენდერით განსაზღვრული მომსახურება, ტენდერით განსაზღვრულ თვითმმართველ ქალაქებში და მუნიციპალიტეტებში.

3. ოჯახის ექიმები / პირადი ექიმები:

3.1. მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქების მიხედვით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არსებული ოჯახის ექიმების / პირადი ექიმების ჩამონათვალი და სამუშაო გრაფიკი მოცემულია დანართი N7-ში. ხელშეკრულების მიმდინარეობისას შემსყიდველის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში უნდა იყოს მუნიციპალიტეტის რაიონულ ცენტრში/ადმინისტრაციულ ცენტრში. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ოჯახის ექიმების / პირადი ექიმების განთავსების ადგილები უნდა აკმაყოფილებდეს არანაკლებ დანართი N7-ში მოცემული ვარაიანტებიდან ერთ-ერთს.

3.2. ერთი ოჯახის ექიმად / პირად ექიმად ჩათვლება ერთი კაბინეტი, მიუხედავად სამუშაო განრიგის პერიოდში მასში მომუშავე ექიმთა რაოდენობისა, შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ოჯახის ექიმთა / პირად ექიმთა საკმარისი რაოდენობა, შემსყიდველის მიერ მითითებულ განრიგში ოჯახის ექიმის კაბინეტის მუშაობისთვის.

3.3. ერთი ოჯახის ექიმის / პირადი ექიმის კაბინეტის ლოკაცია ითვლება ერთი კონკრეტული მისამართი, ერთი კონკრეტული შენობა.

3.4. სადღეღამისო სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების ხაზზე ზარის განხორციელების შემთხვევაში, მზღვეველმა დაზღვეულის ჩაწერა მუნიციპალიტეტში ან თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტს და ქალაქს ირჩევს თვითონ დაზღვეული) უნდა უზრუნველყოს შემდეგი პირობების დაცვით:

3.4.1. კვირიდან ხუთშაბათის ჩათვლით 09:00 საათიდან 21:00 საათის ჩათვლით ზარის განხორციელების შემთხვევაში არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს.

3.4.2. კვირიდან ხუთშაბათის ჩათვლით 21:00 საათიდან 09:00 საათის ჩათვლით ზარის განხორციელების შემთხვევაში არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში

3.4.3. ხუთშაბათის 21:00 საათიდან კვირის 21:00 საათამდე ზარის განხორციელების შემთხვევაში არაუგვიანეს ორშაბათისა.

3.5. იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირების პერიოდში ინსპექტირების დროს გამოვლინდება შემთხვევა, როცა კონკრეტული მუნიციპალიტეტში ან თვითმმართველ ქალაქში მზღვეველი ვერ უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული პირობების დაცვით დაზღვეულის ჩაწერას, მზღვეველი ვალდებულია მოცემულ მუნიციპალიტეტში ან თვითმმართველ ქალაქში გამოასწოროს ხარვეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე მუნიციპალიტეტში ან ქალაქში ფაქტის განმეორების შემთხვევაში მზღვეველს დაეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმა. განმეორებით ფაქტის დადგომის შემდეგ წუნის გამოსწორებად

ჩაითვლება მხოლოდ ოჯახის ექიმის / პირადი ექიმის დამატება (მიუხედავად მიმართვიანობისა) და ჯარიმის დარიცხვა გაგრძელდება ყოველდღიურად განმეორებით ფაქტის გამოვლენის დღიდან ინსპექტირების ჯგუფისთვის ოჯახის ექიმთან / პირად ექიმთან გაფორმებული შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების წარდგენის დღემდე.

3.6. ოჯახის ექიმები / პირადი ექიმები განთავსებული უნდა იყონ შესაბამისად მოწყობილ გარემოში, სადაც დაცული იქნება კლინიკისადმი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნორმა. ამასთან ოჯახის ექიმები / პირადი ექიმები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

3.7. ქ. თბილისში დაუშვებელია ერთ სამუშაო ოთახში ოჯახის ექიმის / პირადი ექიმის სხვა ექიმ-სპეციალისტთან ერთად მუშაობა (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება თანამემწეზე, ასისტენტზე ან ექთანზე).

3.8. რეგიონებში ერთ სამუშაო ოთახში ოჯახის ექიმის / პირადი ექიმის სხვა ექიმ-სპეციალისტთან ერთად მუშაობა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება საექიმო საქმიანობის მიწოდების ეთიკური და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტები (მათ შორის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ მიღებული პროტოკოლები/Guidelines) (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება თანამემწეზე, ასისტენტზე ან ექთანზე).

3.9. თვითმმართველი ქალაქების გარდა, სხვა ნებისმიერ ლოკაციაზე განთავსებული ოჯახის ექიმის კაბინეტი დაუშვებელია, ოჯახის ექიმის კუთვნილ შვებულებაში გასვლის გამო (ან სხვა ნებისმიერი მიზეზით, თუ აღნიშნული არ არის განსაზღვრული წინამდებარე ტექნიკური დავალებით), არ ახორციელებდეს სერვისულ მომსახურებას წლის განმავლობაში ჯამურად 24 სამუშაო დღეზე მეტი ვადით ან/და ზედიზედ 10 სამუშაო დღეზე მეტი ვადით. ოჯახის ექიმის კაბინეტის აღნიშნულ ვადებზე მეტი ვადით სერვისული მომსახურების მიწოდების შეფერხების/შეწყვეტის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ოჯახის ექიმის ჩანაცვლება, ან სხვა მეთოდის გამოყენება (იმდაგვარად, რომ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში დაზღვეულმა პირებმა შეუფერხებლად მიიღონ წინამდებარე ტენდერით განსაზღვრული მომსახურება, ტენდერით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტებში), მაგალითად „ტელე მედიცინის“ ან სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ოჯახის ექიმის COVID-19-ით დასნეულების შემთხვევაში, რა დროსაც შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე (სამართლიანობის პრინციპის დაცვით) განიხილავენ ხელშეკრულებისგან განსხვავებული პირობების დაწესებას.

3.10. თვითმმართველ ქალაქებში განთავსებული ოჯახის ექიმის კაბინეტი დაუშვებელია, ოჯახის ექიმის კუთვნილ შვებულებაში გასვლის გამო (ან სხვა ნებისმიერი მიზეზით, თუ აღნიშნული არ არის განსაზღვრული წინამდებარე ტექნიკური დავალებით), არ ახორციელებდეს სერვისულ მომსახურებას წლის განმავლობაში ჯამურად 24 სამუშაო დღეზე მეტი ვადით ან/და ზედიზედ 10 სამუშაო დღეზე მეტი ვადით. ოჯახის ექიმის კაბინეტის აღნიშნულ ვადებზე მეტი ვადით სერვისული მომსახურების მიწოდების შეფერხების/შეწყვეტის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ოჯახის ექიმის ჩანაცვლება. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ოჯახის ექიმის COVID-19-ით დასნეულების შემთხვევაში, რა დროსაც შემსყიდველი და მიმწოდებელი

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე (სამართლიანობის პრინციპის დაცვით) განიხილავენ ხელშეკრულებისგან განსხვავებული პირობების დაწესებას.

3.11. გარდა 3.9 და 3.10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში, ოჯახის ექიმის კაბინეტი შესაძლებელია არ ახორციელებდეს სერვისულ მომსახურებას წლის განმავლობაში არაუმეტეს 3 სამუშაო დღით ოჯახის ექიმის დასნეულების (COVID-19-ის გარდა) ან ტრეინინგის გამო.

4. სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების ხაზი

4.1. სადღეღამისო სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების ხაზზე ზარის განხორციელებისას მოლოდინის საშუალო (ნებისმიერი 15 დღიანი პერიოდი) დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 (ორი) წუთს.

4.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სადღეღამისო სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების ხაზზე შესული ზარების დაარქივება არანაკლებ 45 დღის განმავლობაში და ინსპექტირების ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში (ზარის განმახორციელებელი პირის თანხმობით) მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს მისი გადაცემა.

4.3. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში დაზღვეული პირებისთვის ცალკე სადღეღამისო სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების ნომერი. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისთვის ნებისმიერი 15 (თხუთმეტი) დღიანი პერიოდისთვის საშუალო მოლოდინის პერიოდის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (შემსყიდველი უფლებამოსილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფიდან ინფორმაციის ამოღების პროცესის დასაკვირვებლად მიავლიონოს საკუთარი წარმომადგენელი).

5. ანაზღაურების ოფისები

5.1. ქ. თბილისის მასშტაბით, მზღვეველს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 2 ანაზღაურების ოფისი, მათ შორის: ერთი ანაზღაურების ოფისად სადაზღვევო კომპანიის მიერ შემოთავაზებული უნდა იყოს ე.წ. ცენტრალური ანაზღაურების ოფისი, არანაკლებ 6 ოპერატორით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი და პრეტენდენტი ვერ თანხმდება, თუ რომელი ოფისი წარმოადგინეს ცენტრალურს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიუთითოს მიმწოდებელს, თუ მის ხელთ არსებული ანაზღაურების ოფისებიდან თუ რომელი უნდა იქნას შემოთავაზებული წინამდებარე ტენდერში.

5.2. ქალაქ თბილისში ჯამურად ორივე ანაზღაურების ოფისში უნდა იყოს არანაკლებ 10 ოპერატორი, რომელთან სამუშაო განრიგი უნდა იყოს 9:00-18:00 (ორშაბათი-პარასკევი) და შაბათს არანაკლებ 5 ოპერატორი სამუშაო განრიგით 09:30-14:00.

5.3. ასევე, დაზღვეულს საშუალება უნდა ჰქონდეს არანაკლებ ქვემოთ ჩამოთვლილ 12 ქალაქში ასანაზღაურებელი დოკუმენტაცია ჩააბაროს მზღვეველის მიერ გამოყოფილ არანაკლებ ერთ ოპერატორს (შესაძლებელია აღნიშნული შეითავსოს ოჯახის ექიმმაც / პირადმა ექიმმაც):

- 5.3.1. ქალაქ მცხეთაში;
- 5.3.2. ქალაქ ბათუმში;
- 5.3.3. ქალაქ ქუთაისში;

- 5.3.4. ქალაქ ზუგდიდში;
- 5.3.5. ქალაქ ფოთში;
- 5.3.6. ქალაქ გორში;
- 5.3.7. ქალაქ ახალციხეში;
- 5.3.8. ქალაქ რუსთავში;
- 5.3.9. ქალაქ თელავში;
- 5.3.10. ქალაქ ლაგოდეხში;
- 5.3.11. ქალაქ ხაშურში ან ქალაქ ბორჯომში.
- 5.3.12. ქალაქ ოზურგეთში.

5.4. ზემოაღნიშნულ ქალაქებში დოკუმენტების ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღეში უნდა უზრუნველყოს მზღვეველმა თანხის ანაზღაურება.

5.5. ქ. თბილისში დოკუმენტების ჩაბარებიდან 3 სამუშაო დღეში უნდა უზრუნველყოს მზღვეველმა თანხის ანაზღაურება.

5.6. დაზღვეულს საშუალება უნდა ჰქონდეს ასანაზღაურებელი დოკუმენტები პირველადი ინსპექტირების მიზნით გადააგზავნოს მზღვეველის ელექტრონულ ფოსტაზე, რომელსაც მზღვეველის დადასტურების შემდეგ გაუგზავნის მას ფოსტის მეშვეობით ან ჩააბარებს ანაზღაურების ოფისში, ან ზემოაღნიშნულ ქალაქებში.

5.7. ანაზღაურების ოფისში მზღვეველს საშუალებე უნდა ჰქონდეს, ადგილზევე მიიღოს 300 ლარამდე ანაზღაურება.

5.8. მზღვეველი ვალდებულია თითოეულ ანაზღაურების ოფისში უზრუნველყოს რიგის აპარატი, რომელიც გაცემულ ქვითარზე ავტომატურად უნდა უთითებდეს რიგის ნომერთან ერთად გაცემის თარიღს, საათსა და წუთს.

5.9. თითოეულ ანაზღაურების ოფისში (ინდივიდუალურად) მოლოდინის საშუალო (ნებისმიერი 15 დღიანი პერიოდი) დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს.

5.10. მიმწოდებლის ანაზღაურების დესკი ალჭურვილი უნდა იყოს ვიდეო–სამეთვალყურეო სისტემით და უნდა ხდებოდეს ჩანაწერის შენახვა არანაკლებ 30 დღით. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, შესაბამისი ჩანაწერი მზღვეველმა უნდა გადასცეს ინსპექტირების ჯგუფს.

5.11. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისთვის ნებისმიერი 15 (თხუთმეტ) დღიანი პერიოდისთვის თითოეულ ანაზღაურების ოფისში საშუალო მოლოდინის პერიოდის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (შემსყიდველი უფლებამოსილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფიდან ინფორმაციის ამოღების პროცესის დასაკვირვებლად მიავლიონოს საკუთარი წარმომადგენელი).

5.12. ანაზღაურების ოფისი განთავსებული უნდა იყოს შენობის პირველ სართულზე, ან/და შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.

შენიშვნა:

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას პროვაიდერი კლინიკების და ოჯახის ექიმების / პირადი ექიმების ჩამონათვალი (მისამართების მითითებით), დედაქალაქის, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით (მოცემულ ეტაპზე არ მოითხოვება შესაბამისი ხელშეკრულებების წარმოდგენა, ვინაიდან მომსახურების გაწევა

მიმწოდებელმა უნდა დაიწყოს 2021 წლის 01 იანვრიდან, შესაბამისად აღნიშნულ ვადამდე უნდა უზრუნველყოს პრეტენდენტმა შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება).

- შემსყიდველი, შესაბამისი დასაბუთებით, გამარჯვებულ პრეტენდენტს (მზღვეველს) წარუდგენს იმ აუცილებელი პროვაიდერი კლინიკებისა (არაუმეტეს 10) და ლიცენზირებული სააფთიაქო ქსელის ნუსხას, რომლებთანაც დამზღვევი ვალდებულია გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება, სადაზღვევო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში, იმისათვის, რომ დედაქალაქში, ყველა თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში (რაიონულ ცენტრებში) დაზღვეულმა ოჯახის ექიმის / პირადი ექიმის დანიშნულებისამებრ შეუფერხებლად მიიღოს სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას შესაბამის კლინიკებთან, მომსახურების მიღება უნდა განხორციელდეს პროვაიდერის პრიობებით (მათ შორის თანადაფინანსების %) საგარანტიო ფურცლის ან/და წინასწარი ანაზღაურების გზით (კლინიკების მოთხოვნების შესაბამისად).

- მზღვეველი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე შემსყიდველს წარუდგინოს იმ პროვაიდერი სტომატოლოგიური კლინიკების ჩამონათვალი (მისამართების მითითებით), რომელშიც დაზღვეულთათვის იმოქმედებს გეგმიურ სტომატოლოგიურ მომსახურებაზე ფასდაკლებები (გარდა პრემიუმ პაკეტისა, სადაც მოქმედებს თანადაფინანსება), ფასდაკლების ოდენობის მითითებით.

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას თითოეული ოჯახის ექიმის / პირადი ექიმის სახელი გვარი, პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი. პირადი ინფორმაციის დაცვის მიზნით შესაძლებელია ელექტრონულად წარმოდგენილ დოკუმენტში პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი იყოს დაფარული, მოცემულ შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია აღნიშნული დოკუმენტი წარუდგინოს შემსყიდველს ოფიციალური წერილის მეშვეობით (რომლის ატვირთვაც არ მოხდება ელექტრონულ ტენდერში).

აუცილებელი მოთხოვნები:

- ოჯახის ექიმის / პირადი ექიმის მიერ გასაცემი ნებისმიერი სამედიცინო დოკუმენტაცია და მათი გაცემის მომსახურება უნდა იყოს დაზღვეულისთვის უფასო (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა უნდა მოხდეს სპორტულ-განმაჯანსაღებელ ცენტრში ან მსგავსი პროფილის დაწესებულებაში);
- მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს წინამდებარე ტენდერით გათვალისწინებული ანაზღაურების თანადაფინანსების ფარგლებში, პროვაიდერ კლინიკაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სრულად გადახდა მიუხედავად იმისა ექიმი იყო მოწვეული თუ აყვანილი სპეციალისტი და მოცემულ კლინიკაში სხვადასხვა ექიმებს აქვს თუ არა განსხვავებული ანაზღაურება. გამონაკლისად ჩაითვლება მხოლოდ ის შემთხვევა, როცა ექიმთან არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე ექიმები, რომლებიც საქართველოში სამედიცინო საქმიანობას ახორციელებენ მოწვევით, თუნდაც ამავდროულად ფლობდნენ საქართველოში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლებას. ოცემულ შემთხვევაში საბაზისოდ აღებული იქნება ამავე კლინიკაში სამედიცინო მომსახურების ის ღირებულება, როდესაც მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს კლინიკაში ყველაზე მაღალ ანაზღაურებადი ექიმი. აღნიშნული პირობა

ვრცელდება მათ შორის მშობიარობის ან ორისულობის დროს, როცა სამედიცინო მომსახურების ღირებულება იზრდება არასამუშაო პერიოდში ან ექიმის შვებულებიდან გამოხმობის მიზეზით გაზრდილი ჰონორარის გამო.

- არაპროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების მიღების შემთხვევაში, თუ მოცემულ კლინიკაში სხვადასხვა ექიმებს აქვთ განსხვავებული ანაზღაურება. მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი ლიმიტი გამოანგარიშდება, სამედიცინო მომსახურება + კლინიკაში ყველაზე დაბალი ანაზღაურების მქონე ექიმის ჰონორარი/ხელფასი x 1.2.
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დანართი N6-ით განსაზღვრულ ყველა მინიციპალიტეტში / თვითმმართველ ქალაქში, აფთიაქის და პროვაიდერი კლინიკის არსებობა.

4. დამატებითი პირობები - თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ან შს სამინისტროს სისტემიდან განთავისუფლების შემთხვევაში სამედიცინო (ჯანმრთელობის) სიცოცხლის სადაზღვევო მომსახურების მიღების პირობები:

4.1. თანამშრომელს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ან შს სამინისტროს სისტემიდან დათხოვნის შემთხვევაში (თუ ეს არ ხდება მისი დისციპლინური გადაცდომის გამო), ასევე მის ოჯახის წევრებს სადაზღვევო მომსახურება უნდა შეუნარჩუნდეთ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, თუ: 1) აღნიშნული პირი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან/შს სამინისტროს სისტემიდან დათხოვნიდან მომდევნო 1 (ერთი) თვის განმავლობაში წერილობით განაცხადებს მზღვეველთან დაზღვევის შენარჩუნების სურვილის, და 2) წარუდგენს მზღვეველს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დამადასტურებელ დოკუმენტს/გათავისუფლების ბრძანებას და 3) გააფორმებს მზღვეველთან შესაბამის ინდივიდუალურ, იდენტურ ხელშეკრულებას (მიმდინარე ლიმიტებით) სადაზღვევო პერიოდით და ერთიანად, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გადაიხდის შესაბამისი პერიოდის სრულ სადაზღვევო პრემიას.

თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ან შს სამინისტროს სისტემიდან დათხოვნის შემთხვევაში (თუ ეს არ ხდება მისი დისციპლინური გადაცდომის გამო), მის 18-დან 26 წლამდე შვილებს სადაზღვევო მომსახურება უნდა შეუნარჩუნდეთ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, თუ: 1) შვილ(ებ)ი, თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან/შს სამინისტროს სისტემიდან დათხოვნიდან მომდევნო 1 (ერთი) თვის განმავლობაში წერილობით განაცხადებს მზღვეველთან დაზღვევის შენარჩუნების სურვილის, და 2) წარუდგენს მზღვეველს თანამშრომლის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დამადასტურებელ დოკუმენტს/გათავისუფლების ბრძანებას და 3) გააფორმებს მზღვეველთან შესაბამის ინდივიდუალურ ხელშეკრულებას სადაზღვევო პერიოდით და ერთიანად, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გადაიხდის შესაბამისი პერიოდის სრულ სადაზღვევო პრემიას.

თანამშრომელის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ან შს სამინისტროს სისტემიდან დათხოვნის შემთხვევაში (თუ ეს არ ხდება მისი დისციპლინური გადაცდომის გამო), თანამშრომლის მშობელს სადაზღვევო მომსახურება უნდა შეუნარჩუნდეს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, თუ: 1) მშობელი, თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან/შს სამინისტროს სისტემიდან დათხოვნიდან მომდევნო 1 (ერთი) თვის განმავლობაში წერილობით განაცხადებს მზღვეველთან დაზღვევის შენარჩუნების სურვილის, და 2) წარუდგენს მზღვეველს თანამშრომლის შრომითი ურთიერთობის

შეწყვეტის დამადასტურებელ დოკუმენტს/გათავისუფლების ბრძანებას და 3) გააფორმებს მზღვეველთან შესაბამის ინდივიდუალურ ხელშეკრულებას სადაზღვევო პერიოდით და ერთიანად, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გადაიხდის შესაბამისი პერიოდის სრულ სადაზღვევო პრემიას.

თანამშრომლის შვილს, რომელსაც სადაზღვევო პაკეტში მითითებული ზღვრული ასაკი სადაზღვევო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ შეუსრულდება, სადაზღვევო მომსახურება უნარჩუნდება სადაზღვევო წლის ბოლომდე.

4.5. იმ დაზღვეულთა მიმართ, რომლებიც დაზღვეული იქნებიან ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედებს 4.1; 4.2; 4.3 და 4.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები.